3215

დასკვნა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილების უფროსის 2015 წლის 11 ნოემბრის N 4252-31 წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით

ქ.წყალტუბო 19 .11. 2015

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა ვასილ კიკალიშვილმა, განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილისადმი, ამავე გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის განყოფილების უფროსის 2015 წლის 11 ნოემბრის N4252-31 წერილი, რომელიც შეეხება შპს ,,ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ"-ის მიერ 2015 წლის 04 ნოემბერს გაფორმებული N234 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასა და შესაბამისი თანხის ანაზღაურებას.

ზემოაღნიშნული წერილის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გაირკვა შემდეგი:

2015 წლის 04 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს ,,ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ"-ის წარმომადგენელ სოფიო ვარდანიძეს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №234 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კალათბურთის ტურნირში მოწვეული სტუმრების (20 პერსონა) კვებით მომსახურებას. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 400 (ოთხასი) ლარი. მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 06 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2015 წლის 10 ნოემბერს შპს «ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №234-ით ნაკისრი ვალდებულების, კერძოდ ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კალათბურთის ტურნირში მოწვეული სტუმრების (20 პერსონა) კვებითი მომსახურების შესრულების შესახებ №8566 წერილი, რომლის საფუძველზეც ითხოვს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულების ანაზღაურებას.

აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით 2015 წლის 04 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს- რიმა მარგიანსა და შპს „ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ"-ის წარმომადგენელ -სოფიო ვარდანიძეს შორის, 2015 წლის 04 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი საერთო ღირებულებით 400 (ოთხასი) ლარი.

გამომდინარე იქედან, რომ შპს ,,ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ"-ის მიერ, 2015 წლის 04 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, №234 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

შესრულებულია აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობის დაცვით, გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმებული მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2015 წლის 04 ნოემბერს, შპს «ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგარდობის საქმეთა სამსახურის უფროსს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისობაშია 2015 წლის 04 ნოემბრის №234 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს **400 (ოთხასი) ლარს.**

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

წამყვანი სპეციალისტი: ვასილ კიკალიშვილი

N 4252-31
11/11/2015

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ კონსტანტინე მამისეიშვილს

ბატონო კონსტანტინე,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2015 წლის 10 ნოემბერს შემოსულია შპს „ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ" (გამგ. №8566) მომართვა, რომელიც შეეხება 2015 წლის 4 ნოემბერს გაფორმებულ №234 ხელშეკრულების საფუძველზე, ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კალათბურთის ტურნირში მოწვეული სტუმრების (20 პერსონა) კვებითი მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნას თანხით ოთხასი (400) ლარი.

აღნიშნული მომსახურეობა მიღებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის მიერ.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოახდინოს ანგარიშსწორება.

პატივისცემით,

ლია გუგუსიანი

განყოფილების უფროსი

შპს „ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ“

ქ. წყალტუბო წერეთლის ქ. №9

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
გამგეობა
შემოსავლის № 3566
"10" 11 2015 წ.

9 ნოემბერი 2015 წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ კონსტანტინე მამისეიშვილს

ბატონო კონსტანტინე,

ჩვენს შორის გაფორმებულია 2015 წლის 4 ნოემბრის №234 ხელშეკრულება, რომელიც ეხება ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეთა (20 მონაწილე) კვებით მომსახურეობას; მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გთხოვთ, მოახდინოთ ანგარიშწორება ხელშეკრულების შესაბამისად.

დირექტორი /სოფიო ვარდანიძე/

3566

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. წყალტუბო 4 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებემოსილი პირის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ“ -ის (შემდგომი „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის სოფიო ვარდანიძის სახით, 2015 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული №234 ხელშეკრულების საფუძველზე, ვადგენთ მიღება - ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირში მოწვეული სტუმრების (20 პერსონა) კვებითი მომსახურება ღირებულებით 400 (ოთხასი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შპს „ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ.“-ის, ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ჩააბარა

შპს „ჩვენი ქალაქი ს.ა.ა.დ“

სოფიო ვარდანიძე

ჩაიბარა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის
კულტურის, განათლების, სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი

რიმა მარგიანი